


## 2013 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

### შობადობა


2013 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1,5 პროცენტით გაიზარდა და 57 878 შეადგინა, მათ შორის 30 027 ბიჭი და 27 851 გოგო. 2006 წლიდან ცოცხლადშობილთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და პიკს 2009 წელს მიაღწია.

დიაგრამა 1




ბოლო წლებში ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის გადანაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, საერთო დაბადებაში მესამე და მომდევნო შვილების წილი გაიზარდა, ხოლო პირველი შვილის წილი შემცირდა, მეორე შვილის წილი კი უცვლელი დარჩა. 2013 წელს წინა წელთან შედარებით პირველი შვილის რაოდენობა 0,5 პროცენტით შემცირდა. მეორე შვილის 1,4, ხოლო მესამე და მომდევნო შვილების რაოდენობამ 7,7 პროცენტით მოიმატა. (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2



2013 წელს დაბადებულთა საერთო რაოდენობაში 25 წლამდე ასაკის დედების წილი 44,2 პროცენტიდან 42,6 პროცენტამდე შემცირდა (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3




2013 წელს, დედის საშუალო ასაკმა პირველი ბავშვის დაბადებისას 24,4 წელი შეადგინა.

**გარდაცვალება**

2013 წელს გარდაცვლილთა რაოდენობა 2012 წელთან შედარებით 1,6 პროცენტით შემცირდა და 48 553 შემთხვევა შეადგინა (იხ. დიაგრამა 4).


დიაგრამა 4



გარდაცვალების რიცხოვნობის კლებამ გავლენა მოახდინა გარდაცვლილთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე. ყველაზე დიდი კლება განიცადა ქალების 10-14, 20-29 და 80-84 ასაკობრივმა ჯგუფებმა, ხოლო მამაკაცებში - 20-29 ასაკობრივმა ჯგუფმა. ყველაზე დიდი მატება დაფიქსირდა ქალების 75-79 ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო მამაკაცებისთვის - 55-59 ასაკობრივ ჯგუფში (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

გარდაცვლილთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით  
2012-2013 წლებში



ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 წლამდე გარდაცვლილთა რაოდენობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 2013 წელს 11,1 პრომილე შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1,4 პუნქტი ნაკლებია.


5 წლამდე გარდაცვლილთა კოეფიციენტი 1 000 ცოცხლად დაბადებულზე 2013 წელს 13,0 პრომილეა, ხოლო იგივე მაჩვენებელმა 2012 წელს 14,4 პრომილე შეადგინა.

**ბუნებრივი მატება**


2013 წელს ბუნებრივი მატებამ (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას შორის) წინა წელთან შედარებით 21,4 პროცენტით მოიმატა და 9 325 ერთეული შეადგინა (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

ბუნებრივი მატება 2004-2013 წლებში



დიაგრამა 7




2013 წელს უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა გურიის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

**ქორწინება**

2013 წელს რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 14,1 პროცენტით გაიზარდა და 34 693 ერთეული შეადგინა (იხ. დიაგრამა 8).


დიაგრამა 8



## განქორწინება

2013 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 8 089 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13,4 პროცენტით აღემატება (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9



2013 წელს 2012 წელთან შედარებით 22 პროცენტით გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი 0-10 წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებში. საერთო განქორწინებათა რაოდენობაში 1 წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებების წილი ყველაზე მაღალია (6,7 პროცენტი).

2013 წელს განქორწინების საშუალო ასაკმა ქალებისათვის 35,9, ხოლო მამაკაცისთვის - 39,1 წელი შეადგინა.

### ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

2013 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები ქვეყნის რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი 1

### 2013 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ცოცხლად დაბადება	გარდაცვალება	ბუნებრივი მატება	ქორწინება	განქორწინება
<b>ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო</b>	<b>57 878</b>	<b>48 553</b>	<b>9 325</b>	<b>34 693</b>	<b>8 089</b>
ქ. თბილისი	17 010	12 358	4 652	8 571	3 063
აფხაზეთის ა.რ.*	...	...	...	...	...
აჭარის ა.რ.	5 909	3 289	2 620	3 564	546
გურია	1 575	1 910	-335	1 096	176
იმერეთი	8 496	8 691	-195	5 155	1 175
კახეთი	5 014	4 921	93	3 904	595
მცხეთა-მთიანეთი	1 279	1 418	-139	769	194
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	342	763	-421	277	51
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5 066	5 343	-277	3 254	772
სამცხე-ჯავახეთი	2 394	2 068	326	1 468	169
ქვემო ქართლი	6 730	4 280	2 450	3 987	879
შიდა ქართლი	4 063	3 512	551	2 648	469

საკონტაქტო პირი: პაატა შავიშვილი, ტელ.: +995 32 236 72 10 (601); ელ- ფოსტა: [shavishvili@geostat.ge](mailto:shavishvili@geostat.ge)

\* 1992 წლიდან მონაცემები არ არსებობს